# საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №356
## 2025 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

**„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2025 წლის 12 ივნისის №147 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2025 წლის 12 ივნისის №147 ბრძანებაში (ვებგვერდი, 13/06/2025, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.017930) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2.** „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენებით საერთო ტრანზიტის პროცედურის განხორციელების საბაჟო ფორმალობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №20) პირველი მუხლის $1^1$ პუნქტითა და მე-8 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები საქონლის საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვაზე 2027 წლის 1 იანვრამდე გავრცელდეს მხოლოდ საბორნე ტრანსპორტის გამოყენებით ავტოსატრანსპორტო საშუალებით/მისაბმელით საქონლის გადატანაზე.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი** **ლაშა ხუციშვილი**